## მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის ანკეტა-კითხვარი

დანართი 1

| | | |
|---|---|---|
| ინფორმაცია სასწავლებლის შესახებ | უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სამართლებრივი ფორმა | საჯარო სამართლის იურიდიული პირი |
| | უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სრული სახელწოდება | სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი |
| | იურიდიული მისამართი | ქართული უნივერსიტეტის ქ. #1 ქ. თელავი, 2200, საქართველო |
| | პროგრამის განხორციელების ადგილი | ქართული უნივერსიტეტის ქ. #1 ქ. სასწავლო კორპუსის N 2 თელავი, 2200, საქართველო |
| | ელ-ფოსტა, ტელეფონი (ფაქსი) | info@tesau.edu.ge 0350 272401 |
| | ხელმძღვანელი პირ(ებ)ის შესახებ ინფორმაცია (გვარი, სახელი, ტელეფონი, ელ-ფოსტა) | ირმა შიოშვილი; 599 194422; (350 27 32 64 Irma.shioshvili@gmail.com |
| | საკონტაქტო პირი (გვარი, სახელი, ტელეფონი, ელ-ფოსტა) | ნახუცრიშვილი ნინო, +995 599 28 55 75; +995 571 28 55 75, n.nakhutsrishvili@gmail.com |

| | | |
|---|---|---|
| ინფორმაცია მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ | მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | მასწავლებელის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა |
| | პროგრამის საგნ(ებ)ის/მოდულ(ებ)ის დასახელება | ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია, გეოგრაფია, ისტორია, ინგლისური ენა, გერმანული ენა, სპორტი, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, |
| | ინფორმაცია პროგრამის დამტკიცების შესახებ (აკრედიტაციის გადაწყვეტილების ნომერი, თარიღი) | №2, 17.03.2016 |
| | პროგრამაზე ადგილების ჯამური რაოდენობა | 30 |
| | სწავლების ენა პროგრამის მიხედვით | ქართული |
| | პროგრამის მოცულობა კრედიტებში | 60 |
| | მიზანი და სწავლის შედეგი * | პროგრამის ძირითადი მიზნები შესაბამისობაშია მისი ფუნქციონირების მისიასთან და აისახება შემდეგში: თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად პროგრამის ეფექტიანი განხორციელება; |

### ინფორმაცია მოდულის შესახებ

| № | პროგრამის საგნის/მოდულის სახელწოდება საფეხურის მითითებით | ადგილების რაოდენობა თითოეული საგნის/მოდულის მიხედვით | სწავლის საფასური საგნის/მოდულის მიხედვით | დასაფინანსებელ პირთა რაოდენობა | ინფორმაცია საგანზე/მოდულზე დაშვების წინაპირობის შესახებ | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განსაზღვრული საგნის გამოცდა | უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განსაზღვრული გამოცდა | აპლიკანტისათვის განსაზღვრული სპეციალური პირობები |
| 1 | ქართული ენა და ლიტერატურა (საბაზო და საშუალო საფეხური) | 3 | 2150 | 3 | ქართული ენა და ლიტერატურა (საბაზო ან/და საშუალო საფეხური); | კომბინირებული ტესტი ზოგად უნარებსა და საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ. | |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2 | მათემატიკა (საბაზო და საშუალო საფეხური) | 2 | 2150 | 2 | მათემატიკა (საბაზო ან/და საშუალო საფეხური); | კომბინირებული ტესტი ზოგად უნარებსა და საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ. | |
| 3 | გეოგრაფია (საბაზო და საშუალო საფეხური) | 1 | 2250 | 1 | გეოგრაფია | კომბინირებული ტესტი ზოგად უნარებსა და საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ. | |
| 4 | ისტორია (საბაზო და საშუალო საფეხური) | 4 | 2150 | 4 | ისტორია | კომბინირებული ტესტი ზოგად უნარებსა და საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ. | |
| 5 | ქიმია (საბაზო და საშუალო საფეხური) | 1 | 2250 | 1 | ქიმია (საბაზო ან/და საშუალო საფეხური) | კომბინირებული ტესტი ზოგად უნარებსა და საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ. | |
| 6 | ბიოლოგია (საბაზო და საშუალო საფეხური) | 2 | 2250 | 2 | ბიოლოგია (საბაზო ან/და საშუალო საფეხური) | კომბინირებული ტესტი ზოგად უნარებსა და საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ. | |
| 7 | ფიზიკა (საბაზო და საშუალო საფეხური) | 1 | 2250 | 1 | ფიზიკა (საბაზო ან/და საშუალო საფეხური) | კომბინირებული ტესტი ზოგად უნარებსა და საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ. | |
| 8 | ინგლისური ენა ( საბაზო და საშუალო საფეხური) | 5 | 2250 | 5 | ინგლისური ენა(დაწყებითი, საბაზო ან/და საშუალო საფეხური) | კომბინირებული ტესტი ზოგად უნარებსა და საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ. | |
| 9 | გერმანული ენა ( საბაზო და საშუალო საფეხური) | 1 | 2250 | 1 | გერმანული ენა (დაწყებითი, საბაზო ან/და საშუალო საფეხური) | კომბინირებული ტესტი ზოგად უნარებსა და საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ. | |
| 10 | სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება | 6 | 1900 | 6 | სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება | კომბინირებული ტესტი ზოგად უნარებსა და საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ. | |
| 11 | სპორტი | 4 | 1850 | 4 | სპორტი | | |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 12 | | | | | | | |
| 13 | | | | | | | |
| 14 | | | | | | | |
| 15 | | | | | | | |

* მიზანშეწონილია წარმოდგენილ იქნეს დანართის სახით

ბეჭედი

ხელმოწერა

## საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი:

პროგრამის ძირითადი მიზნები შესაბამისობაშია მისი ფუნქციონირების მისიასთან და აისახება შემდეგში:

- თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად პროგრამის ეფექტიანი განხორციელება;
- სწავლებისა და სწავლის მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა;
- ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში საბაზო/საშუალო საფეხურის კვალიფიციური პედაგოგიური კადრის მომზადების ხელშეწყობა: მასწავლებლის პროფესიაში ახალგაზრდების მოზიდვა და საბაზო/საშუალო საფეხურის საგნის მასწავლებლის მომზადება, რომლის კომპეტენციები შესაბამისობაშია მასწავლებლის პროფესიული სტანდარტით განსაზღვრული უფროსი მასწავლებლის სტატუსის მოთხოვნებთან. ამით პროგრამის განხორციელება ხელს შეუწყობს სისტემაში არსებული კვალიფიციური მასწავლებლების დეფიციტის აღმოფხვრას როგორც რეგიონში, ისე მის ფარგლებს გარეთაც.
- ზოგადი, საგნობრივი და პედაგოგიური კომპეტენციების დაუფლებისათვის საჭირო სასწავლო გარემოს შექმნა სტუდენტთათვის, რაც ხელს შეუწყობს მაღალკვალიფიციური, (პედაგოგიური საქმიანობისათვის აუცილებელი უახლესი მეთოდური ცოდნითა და პროფესიული კომპეტენციებით აღჭურვილი) შემოქმედებითი, მაღალი მოქალაქეობრივი ღირებულებების მქონე კონკურენტუნარიანი საბაზო და საშუალო სკოლის მასწავლებლის მომზადებას ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ ერთ-ერთ მითითებულ საგანში: ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ინგლისური ენა, გერმანული ენა, ფიზიკა, გეოგრაფია, ისტორია, ქიმია, ბიოლოგია, სპორტი, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება;
- ,,სკოლა-უმაღლესი სასწავლებელი-სკოლა" ამ უწყვეტ კავშირში ერთ-ერთი მთავარი მარეგულირებელი რგოლის შექმნა, რაც ხელს შეუწყობს პროგრამაზე შემომსვლელთა მოზიდვას და სკოლების მომარაგებას მაღალკვალიფიციური პედაგოგიური კადრით;

პროგრამის ამოცანაა მისი განხორციელება მიზნების შესაბამისად.

## სწავლის შედეგები:

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტებში რიგი უნარების განვითარებას საკუთარი პროფესიული ზრდისა და სასკოლო გარემოში სწავლა-სწავლების პროცესის გაუმჯობესების მიზნით. პროგრამის დასრულების შედეგად კურსდამთავრებული დაეუფლება უფროსი მასწავლებლის სტატუსის მქონე პედაგოგისათვის საჭირო ზოგად და დარგობრივ კომპეტენციებს. კურსდამთავრებული გარკვეული იქნება განათლების სისტემის სამართლებლივ საფუძვლებსა და სტრუქტურაში, იმ ვალდებულებებში, რაც მას ევალება მოსწავლისა და სკოლის მიმართ, გათვითცნობიერებული იქნება ზოგადი განათლებისათვის საჭირო სფეროებში, რომ დროულად დაეუფლოს პროფესიული განვითარებისათვის საჭირო ინფორმაციას და ოპტიმალურად უზრუნველყოს საკუთარი პროფესიული საქმიანობის დაგეგმვა-განხორციელება, განვითარება. შეეძლება სასწავლო პროცესის დაგეგმვა, სასწავლო მიზნების შესაბამისად მოსწავლეზე ორიენტირებული

სასწავლო გარემოს უზრუნველყოფა, ეცოდინება და დაიცავს მასწავლებლის პროფესიული ეთიკის ნორმებს და სხვა.
კურსდამთავრებულს ექნება სათანდო კვალიფიკაცია იმისათვის, რომ ასწავლოს საბაზო/საშუალო საფეხურზე ეროვნული სასწავლო გეგმის (საათობრივი ბადის) მიხედვით პროგრამით განსაზღვრული საგანებიდან, ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ინგლისური ენა, გერმანული ენა, ფიზიკა, გეოგრაფია, ისტორია, ქიმია, ბიოლოგია, სპორტი, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, - ერთ-ერთი.